პროლეტარელებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОММУНИСТ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

№ 17 (20058) ხუთშაბათი, 21 იანვარი, 1988 წელი. ◆ ფასი 3 კაპ.

მრავალტირაჟიანი გაზეთების დიდი შესაძლებლობანი

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა განხილა სამეურნეო მექანიზმის სრულყოფაში, საჯაროობის, დემოკრატიზაციისა და თვითმმართველობის გაფართოებაში, შრომელთა ქმედითი საწარმოო-ეკონომიკური საყოველთაო სწავლების ორგანიზაციაში მრავალტირაჟიანი გაზეთების პოლიტიკური და ორგანიზატორული როლის გაძლიერების საკითხი.

მიღებულ დადგენილებაში აღნიშნულია, რომ რესპუბლიკის მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, ტრანსპორტისა და მშენებლობის საწარმოთა მრავალტირაჟიან გაზეთებს, რომლებიც ხელმძღვანელობენ პარტიის XXVII ყრილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მომდევნო პლენუმების გადაწყვეტილებებით, პოზიტიური წვლილი შეაქვთ გარდაქმნისა და დაჩქარებისათვის გამიზნული პარტიის კურსის შესასრულებლად შრომითი კოლექტივების ბრძოლაში. უფრო ფართოდ გამოიყენება განახლების ისეთი მძლავრი საშუალება, როგორიც არის კრიტიკა პრესაში, მეტ მეცადინეობას ახმარენ იმას, რომ კოლეტივებში შეიქმნას დიდი მომკითხველობის, მომთხოვნელობის, დისციპლინის დარღვევებისადმი შეუბრალებლობის და სოციალური სამართლიანობის ვითარება. იზრდება მრავალტირაჟიანი გაზეთების როლი მუშაობის მოწინავე გამოცდილების, შრომის ორგანიზაციის პროგრესული ფორმების პროპაგანდასა და დანერგვაში.

ამ მხრივ დადებითი გამოცდილება შეიძინეს მრავალტირაჟიანი გაზეთების „მეტრომშენგბლის" (თბილისგენრაბმშენის სამმართველო), „სამთო ჭიშის" (გაერთიანება „საქსამთოქიმრე წ ვ ი"), „ტრანსპორტელის" (თბილისის სატრანსპორტო გაერთიანება), „ენგურის ჩიჩილდღების" (ენგურჰესი), „მორიგ ვრუზის" (საქართველოს საზღვაო სანაოსნო), „ფოთელი მენავსადგურის" (ქალაქ ფოთის საზღვაო ნავსადგური) და მთელი რიგი სხვა მრავალტირაჟიანი გაზეთების რედაქციებმა.

ამავე დროს შრომითი ოლეკტივების ბევრი მრავალტირაჟიანი გაზეთი ჯერ კიდევ არ გამხდარა გარდაქმნის ნამდვილი ტრიბუნა, სათანადო სიმწვავითა და პრინციპულობით არ აკეთებენ კრიტიკას, სუსტად მონაწილეობს ახალ პირობებში კოლეტივების ეფექტიანი მუშაობის ორგანიზაციაში. ისინი პრაქტიკულად ბევრს არაფერს აკეთებენ თვითმმართველობის პრინციპების საქმით დამკვიდრებისათვის, საკმარისად არ ითვალისწინებენ ადამიანთა აზრსა და წინადადებებს, სრულად არ იყენებენ კოლეტივების განვითარების საარსებო, საპირბოროტო საკითხთა ღია, საჯარო განხილვის შესაძლებლობებს. მრავალი გაზეთის რედაქციის აკლია სიმწვავე, გაბედულება, შეტევითობა უძარღობის მოვლენების წინააღმდეგ ბრძოლაში, იმის უნარი, რომ მიაღწიოს ცვლილებებს უკეთესობისაკენ, გაძლიეროს კომუნისტების პასუხისმგებლობა დაკისრებული საქმისათვის, ხალხის ეკონომიკური წიგნიერებისათვის.

მრავალტირაჟიანი გაზეთების რედაქციები სუსტად იყენებენ სრულსამეურნეო ანგარიშზე, თვითდაფინანსებასა და თვითმმართველობაზე გადასვლასთან დაკავშირებით იმის შესაძლებლობებს, რომ ადამიანებს ჩაენერგონ ბატონ-პატრონის, ინიციატივისა და შემოქმედების, საწარმოში, დაწესებულებაში, კოლეტივში საქმის მდგომარეობისათვის პირადი პასუხისმგებლობის გრძნობა.

მეტი წილი მრავალტირაჟიანი გაზეთების ფურცლებზე არ იბეჭდება სპეციალისტთა, საწარმოო ქვეგანყოფიების, ეკონომიკური სამსახურების ხელმძღვანელთა გამოსვლები, რომლებიც ეძღვნებიან მეურნეობრობის ახალი პირობების ახსნა-განმარტებას, სახელმწიფო საწარმოს (გაერთიანების) შესახებ კანონის პროგრამიდან.

მთელი რიგი მრავალტირაჟიანი გაზეთების რედაქციები არ ეძებენ „ქვემოდან" ქმედითი კონტროლის, როგორც დემოკრატიზაციის უმნიშვნელოვანესი საშუალების, ორგანიზაციის ახალ ეფექტიან ფორმებს, ცოტას ან საერთოდ არ აქცევენენ ხელმძღვანელებმა, დანიშნული და არჩეული თანამდებობის პირთა საქმიან ანგარიშებს შრომითი კოლეტივების წინაშე, მეტ წილ შემთხვევებში სჯერდებიან პირადულ თვითანგარიშებს, რომლებშიც მიჩქმალულია მწვავე საკითხები და ნაკლოვანებები.

იმის ნაცვლად, რომ რედაქციებმა შექმნან შემოქმედებითი ძიების, გბედული ექსპერიმენტირების, სარედაქციო გეგმების კოლეტიური განხილვისა და დაშტაკეების ატმოსფერო, გეერთიანებებისა და საწარმოების, სამინისტოოებისა და უწყებების მრავალი პარტიული კომიტეტი ეწევა გაზეთების წვრილმან მეურვეობას, ამასთან იყენებს მათდამი ხელმძღვანელობის იდმინისტრაციულ-მბრძანებლურ მეთოდებს, აცდენს ჟურნალისტებს მათთვის არადამახასიათებელი ფუნქციების შესრულებისათვის.

არ ვლინდება ჯეროვანი ზრუნვა მრავალტირაჟიანი გაზეთების ეურნალისტთა ცხოვრების განსახლებისა და ზრდისათვის, მათი პროფესიული და პარტიული ჩამოყალიბებისათვის. სოფლად გაზეთების რედაქტორთა საშუალო ასაკი 60 წელს შეადგენს.

მეტ წილ რედაქციებს არა აქვთ შესაბამისი პოლიგრაფიული ბაზა, მოთავსებული არიან მოუმარჯვებელ შენობებში, მათი საქმიანობისათვის არ არის შექმნილი საჭირო პირობები, რაც მთელ რიგ შემთხვევებში იწვევს ხანგრძლივ პაუზებს გაზეთების გამოშვებაში, ჩვითხელობისათვის მათ დაგვიანებით მიწოდებას. არ არის გადაწყვეტილი აგრეთვე მრავალტირაჟიანი გაზეთების პუშაკთმრალური და მატერიალური სტიმულირების ზოგიერთი საკითხი საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს 1987 წლის 10 იანვლის დადგენილების შესაბამისად, რომელიც ითვალისწინებს ეურნალისტთა კადრების მომზადების შემდგომ სრულყოფისა და მათი შრომისა და ყოფის პირობების გაუჯობესებასა.

დადგენილებაში აღნიშნულია, რომ საჭირო საჯაროობა მიეცეს ბოლოს გაერთიანებებისა და საწარმოების პარტიული კომიტეტებისა და დირექციების უმნიშვნელოვანეს გადაწყვეტილებებს, კადრების გადადგილებას, მაიჯონ გამოსვლების კრიტიკულ ტონს, შრომელთა მაქსიმალურ ჩაბმას სამმართველო გადაწყვეტილებათა შეუშვებებს, მიღებისა და განხორციელების დემოკრატიულ პროცესში. უმნიშვნელოვანესი ამოცანაა სისტემატურად სწავლობდნენ და ითვალისწინებდეენ საზოგადოებრივ აზრს კრიტიკული პუბლიკაციების გამო განხორციელებულ ღონისძიებათა ეფექტიანობის შესახებ. საჭიროა აგრეთვე გაღრმავებული მუშაობა ავტორთა აქტივთან, შრომელთა წერილებზე.

რესპუბლიკური გაზეთებისა და ეურნალების, საქართველოს სატელევიზიოს რედაქციებს, საქონფორმს, საქართველოს ეურნალისტთა კავშირს, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეურნალისტიკის ფაკულტეტს წინადადება მიეცათ განამტკიცონ კავშირი მრავალტირაჟიანი გაზეთების რედაქციებთან, უფრო ხშირად გამოაქვეყნონ ძირეული პრესის მიმოხილვები, რედაქტორთა გამოსვლები.

საქართველოს კომპარტიის საოლქო, საქალაქო და რაიონიელ კომიტეტებს, სახაგრძრეწს, მუშაუქი მრეწველობის სამინისტროს, მშენებლობის სამინისტროს, საგატმინიერო ტრანსპორტის სამინისტროს, სამრეწველო, საწარმოთა, ორგანიზაციების, მეურნეობების პარტიულ კომიტეტებს დაეკალთ განახორციელონ ღონისძიებანი აღნიშნულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად, ქმედითი დახმარება გაუწიონ მრავალტირაჟიან გაზეთებს მუშაობის გარდაქმნაში. ბიუროების კოლეგიებს სხდომებზე სისტემატურად უნდა მოისმინონ პარტიული კომიტეტებისა და დირექციების ანგარიშები ძირეული პრესის ხელმძღვანელობის სრულყოფის შესახებ, მეფუასონ ისინი კოლეტივების მუშაობის დონის რეალური ამაღლების, ადამიანის ფაქტორის გააქტიურების, მათი საზოგადოებრივ-პოლიტიკური და შრომითი აქტიურობის ზრდის მიხედვით, პარტიის XXVII ყრილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მომდევნო პლენუმების მოთხოვნათა სულისკვეთებით. (საქინფორმი).

ხსოვნა

ლენინი მარად ჩვენთანაა

1924 წლის 21 იანვარს პარტიამ, საბჭოთა ხალხს, მსოფლიო პროლეტარიატს, მთელ პროგრესულ კაცობრიობას უდიდესი მწუხარება დაატყდა თავს — გარდაიცვალა ბოლშევიკური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს შემქმნელი და გენიალური ბელადი ვლადიმერ ილიას ძე ლენინი.

ვ. ი. ლენინის გარდაცვალებამ ღრმად დაამწუხრა საბჭოთა ადამიანები, მთელი მსოფლიოს მუშები და ჩაგრული ხალხები.

ვ. ი. ლენინის დაკრძალვის დღეს მთელმა საბჭოთა ხალხმა ხუთი წუთით შეაჩერა მუშაობა. დიდი მწუხარებით გააცილა თავისი მამა, მასწავლებელი და მეგობარი.

მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად დიდმა გლოვამ მოიცვა საქართველოს მუშათა კლასი, ყველა შრომელი. რესპუბლიკის ქალაქებსა და სოფლებში იმართებოდა ხალხმრავალი სამგლოვიარო მიტინგები და კრებები, რომლებზეც კომუნისტები, მუშები, კლერკები, შრომელი ინტელიგენციის წარმომადგენლები ფიცს დებდნენ, რომ ბოლომდე შეასრულებდნენ ვ. ი. ლენინის ანდერძს, გამოთქვამდნენ მტკიცე რწმენას, რომ კომუნისტური პარტია და მისი ლენინური ცენტრალური კომიტეტი გაუძღვებოდნენ საბჭოთა ხალხს ვ. ი. ლენინის მიერ ნაჩვენები გზით.

ვლოგად მოიცვა საქართველოს დედაქალაქი თბილისი. ძაძებით შეიმოსა ქალაქის ალბასტომის შენობა. მოედანზე თავი მოიყარეს მთავრობის წარმომადგენლებმა, მუშებმა, მოსამსახურეებმა წითელი არმიის ნაწილებმა. გაიმართა ხალხმრავალი მიტინგი, ქალაქის ალბასტომის შენობა და მოედანი სამგლოვიაროდ გაიფორმა გამორენილმა ქართველმა საბჭოთა რეჟისორმა კოტე მარჯანიშვილმა.

სურათებზე: თბილისი, ვ. ი. ლენინის მოედანი, 1988 წლის 20 იანვარი; თბილისი, 1924 წლის 21 იანვარი.

ლენინური სულისკვეთებით

ვასგოზი: დიდი ლენინი! მას ხალხმა უწოდა ასე და ამიტომ არის იგი დიდი!

დიდია, როგორც პარტიის ბელადი, დიდია, როგორც სახელმწიფოს მეთაური.

იგი ნიმუშად გვევლინება იმისა, თუ როგორ სწრაფად და ზუსტად, ბრძნულად უნდა გადაწყვიტეს ცხოვრების მიერ აღძრული პრობლემები და საკითხები.

ჩვენ ვამაყობდით და ვამაყობთ იმით, რომ ვლადიმერ ილიას ძე ლენინი ყოველთვის გვეხმარებოდა და დღესაც გვეხმარება, გვასწავლიდა და დღესაც გვასწავლის.

ამის მრავალი მაგალითია. მოდით, გადავფურცლოთ მისი ცხოვრება-მოღვაწეობის ნათელი, საინტერესო ფურცლები, მხოლოდ ზოგიერთი... გავიხსენოთ მისი ორიოდე წერილი.

...1921 წლის აპრილი რუსეთის საბჭოთა რესპუბლიკის გზათა სახალხო კომისრის მოადგილემ ვ. ფომინმა დეპეშა გაუგზავნა ვ. ი. ლენინს და დაინტერესდა მოიფიხოდა, რომ საქართველოს ნავსადგურების (ბათუმის, ფოთის და სოხუმის) სამმართველოები დაქვემდებარებოდა რუსეთის საბჭოთა სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის საზღვაო ტრანსპორტის სამმართველოს დონის როსტოვში ან ნოვოროსიისკში, საქართველოს რევოლუციური კომიტეტი კი ამის წინააღმდეგი იყო. რევკომის თავმჯდომარემ ფილიპე მახარაძემ დეპეშა გაგზავნა მოსკოვში.

დოკუმენტს რომ გავეცნო, ვ. ი. ლენინმა ასეთი წერილით მიმართა ი. ბ. სტალინს: „მე ფომინის წინააღმდეგი ვარ. არ შეიძლება „რუსულად", საჭიროა „ქართულად". შეეფერებოდეს პოლიტიბიუროს".

1921 წლის 19 აპრილს რკკ (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურომ განიხილა საქართველოს ნავსადგურების საკითხი და მხარი დაუჭირა საქართველოს რევკომს. მან მიიღო გადაწყვეტილება საქართველოს ნავსადგურები გადასცემოდა თვით საქართველოს გამგებლობას, ხოლო საბჭოთა რუსეთის საზღვაო ფლოტის სამმართველოს დაეკვალა ალმოეჩინა ყოველგვარი მატერიალური დახმარება ამ ნავსადგურებისათვის.

მრავლისმეტყველია ეს გულწრფელი წერილი და საკითხის ბრძნული, ოპერატიული გადაწყვეტა. ლენინური ტრადიცია გრძელდება.

ამ სულისკვეთებით განიხილა მ. ს. გორბაჩოვმა საქართველოს ხელმძღვანელობის თხოვნა და სპეციალური დადგენილებაც მიიღეს ქ. თბილისის შემდგომი განვითარების შესახებ.

ამ ცოტა ხნის წინათ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის, ცენტრალური კომიტეტის მდივნის ი. კ. ლიგაჩოვის საქართველოში ვიზიტის შემდეგ ოპერატიულად იქნა მოწვეული სკკპ ცენტრალური კომიტეტის თათბირი, რომელზეც განხილეს ჩაის წარმოების ზრდისა და ხარისხის გაუმჯობესების ღონისძიებანი. მიიღეს საგანგებო დადგენილება საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა „ისანში"... როგორც იტყვიან, კომენტარები ზედმეტია.

განა შეიძლება რამდენჯერმე შეამოწმო ერთი და იგივე განცხადება, ერთი და იგივე საჩივარი, ანონიმური წერილები, რომლებშიც აშკარად იგრძნობა პირადი ანგარიშის გასწორების სურვილი. ყველავე ეს ნერვიულობას და უნდობლობას იწვევს... ვინ მოთვლიდა რამდენ უძილო ღამეზე უჯდებათ განმეორებითი კომისიების მუშაობა პატიოსან ადამიანებს, აქტივს. რატომ ველოლიავებით ანონიმური წერილების ავტორებს? საჭიროა მეტი ნდობა და მხარდაჭერა გამოვუცხადოთ იმათ, ვისაც ეწერენ (რა თქმა უნდა თუ დარწმუნებული ვართ მათ პატიოსნებაში და საქმიანობაში), ვიდრე მათ, ვინც წერს!

უსახელო წერილი ეცოცხალი კაცულად მოვეკეყრობით. რა თქმა უნდა, რამდენადაც ჩვენ საქმე გვექნება ნამდვილად გამოცილ, ნამდვილად სასარგებლო მუშაკებთან, ისინი ჩვენი ყოველგვარ მხარდაჭერასა და თანაგრძნობას პოვებენ. მაგრამ რამდენადაც ჩვენ საქმე გვექნება მხოლოდ ავანტიურისტებთან ან დამნაშავე ელემენტებთან, ჩვენ მათ უკეთეს შემთხვევაში გავაბრანდები. ეფიქრობ, ამას მოითხოვს საქმის ინტერესები".

ვლადიმერ ილიას ძეს ორმაგი ხაზასმა გაუკეთებია წერილში სიტყვებისათვის „მოკრიან" გასაოცარი მანდატების მქონე „მთავარრწმენებულნი" და „საგანგებო რწმენებულნი"—წარმომადგენლები". 12 მარტს ვ. ი. ლენინი სახკომსაბჭოს მცირე საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეს ა. გ. გოიხბარგს ლენინის ეს ბრძნული მითითება გასათვალისწინებელია დღესაც. რაგვარ კომისიები მაინც მრავლად იქმნება, თუმცა მათ შესახებ საკმაოდ ბევრი ითქვა და დაიწერა.

მაშ რა ვქნათ? ამას წინათ გაზეთმა „პრავდამ" დაბეჭდა პარტიის ობკომის საოლქო კომიტეტის პლენუმის ანგარიში. მიიღეს წინადადებები მომავალი საკადენციო XIX პარტიული კონფერენციის სახელზე აღნიშნულია: „აუცილებელია ერთიანი და სამდგამოდ აიკრძალოს ყოველგვარი ანონიმური წერილების შესწავლა და განხილვა".

გავიხსენოთ ჩვენი ცხოვრების ისტორიის ერთი ფურცელი. გახეთ „ტობოლსკაია კომუნარი" 1919 წელს დაიბეჭდა რევოლუციური კომიტეტის ასეთი განცხადება: „ქალაქ ტობოლსკისა და სადარაჯოზე", რომელიც 19 იანვარს გაიხსნა მოსკოვში.

სემინარზე გამოვიდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრი, არმიის გენერალი დ. ტ. იაზოვი. საბჭოთა შეიარაღებული ძალების შექმნა, მათი საბრძოლო ჰამოყალიბება და განვითარება, ყოველდღიური ცხოვრება და საქმიანობა, თქვა მან, განუყოფლად უკავშირდება ვ. ი. ლენინის სახელს, კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობას. თავისი 70-წლიანი გმირული ისტორიის მანძილზე არმია და ფლოტი მტკიცედ დგანან დიდი ოქტომბრის მონაპოვართა დასაცავად.

საბჭოთა შეიარაღებული ძალები ყალიბდება და ვითარდება საბჭოთა სამხედრო დოქტრინის პრინციპული დებულებების შესაბამისად და ითარჩუნებს საბრძოლო მზადყოფნას, რომელიც საკმარისია იმისათვის, რომ მტერი მოელოდნელად არ დგებოდეს თავს. ეს ნაკანონზეგია საერთაშორისო ვითარებით და პარტიისა და ხალხის მოთხოვნაა.

საბჭოთა მეომრები გულმოდგინედ ეუფლებიან თანამედროვე იარაღსა და საბრძოლო ტექნიკას, სრულყოფენ საველე, საჰაერო და საზღვაო გაწვრთნილობას, ხვეწენ იდეურ და ფიზიკურ წრთობას, განამტკიცებენ დისციპლინასა და ორგანიზებულობას. ჩვენი არმია და ფლოტი საბჭოთა ხალხის მშვიდობიანი აღმშენებლობითი შრომის საიმედო გარანტია.

სემინარზე გამოვიდნენ სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრის პირველი მოადგილე — ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა გაერთიანებული შეიარაღებული ძალების მთავარსარდალი, საბჭოთა კავშირის მარშალი ვ. გ. კულიკოვი, საკავშირო ალკ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ვ. ი. მირონენკო და სხვები.

საკავშირო სემინარი მუშაობას განაგრძობს.

▼ ▼

ამუშავებენ ვენახებს

ფლეულს ყვარლის რაიონის მევენახეებმა ვაზის მოგლა ადრიდანვე დაიწყეს. შარშან დაბინავეს თუ არა მოსავალი, კვლავ მოუბრუნდნენ ზვრებს. თბილ დღეებში სწრაფი ტემპით ამუშავებენ ვენახებს. შეაქვთ მინერალური და ორგანული სასუქები, სიმეჩხრეს ებრძვიან, მხარს უდრძეკენ ვაზს, ნიგბშორისებს ხნავენ, თოხნიან და ძირებს ბარავენ. ასეთმა ერთსულოვანმა შემართებამ ნაყოფი გამოიღო. დღესდღეობით რაიონის 8870 ჰექტარი ვენახიდან ნახეკვარზე მეტი გასხლულია, 5800 ჰექტარზე კი ფოსფორი და კალიუმია შეტანილი, რიგთშორისებზე 7800 ჰექტარზეა დამუშავებული, ხოლო ვაზის ძირები დაბარულია 3500 ჰექტარზე.

გვეგაზის, ზილის, ჭიკანის, ყვარლისა და ენისლის კოლმეურნეობების, მთისძირის სანერგე საბჭოთა მეურნეობის მუშები დარნანურნენ. ისინი სამეურნეო წლის უხვ მოსავალს ამთავითვე მტკიცე საფუძველს უყრიან.

▼ ▼

ჩაის ახალი ფაბრიკა

ხელვაჩაურის რაიონში ყოველწლიურად იზრდება ჩაის ფართობები. კოეფის სეზონის ჭიკის დროს ფაბრიკები მოზღვავებული ნედლეულის გადამუშავებას ვერ ასწრებენ. ამ მხრივ განსაკუთრებით ზარალდებიან რაიონის ცენტრს დაშორებული სოფლები. და აი, აკარიწყლის ზონის კოლმეურნეობებისათვის ჩაის ახალი მიკროფაბრიკის მშენებლობა დაიწყო, რომელსაც ახლახან ჩამოეხსნა ხარაზოები. ფაბრიკა ყოველწლიურად 2200 ტონა ნედლეულს გადამუშავებს.

გუშინ, დღეს, ხვალ

ფაქტი ■ მოვლენა ■ კომენტარი

გაიხსნა სსრ კავშირის მხატვართა კავშირის VII ყრილობა

ქვეყნის გარდაქმნისათვის უდიდეს აღმშენებლობით მუშაობაში მნიშვნელოვანი როლი განეკუთვნება ინტელიგენციისა და მის დიდ რაზმს — საბჭოთა მხატვრების კავშირს. ეს შემოქმედებითი ორგანიზაცია აერთიანებს ყველა სახეობისა და ჟანრის სახვითი ხელოვნების ოცი ათასზე მეტ ოსტატს და კრიტიკოსს.

სსრ კავშირის მხატვართა VII ყრილობამ უნდა განიხილოს დროის მიერ წამოყენებული ამოცანები, დასახოს მომავალ საქმეთა მაჩუქბები, რომლებიც მიზნად ისახავენ ზნეობრივ ღირებულებათა დამკვიდრებას, საზოგადოების გაჯანსაღებასა და ხალხის სულის განმტკიცებას. ყრილობა გაიხსნა 19 იანვარს მოსკოვში, კრემლის დიდ სასახლეში.

დელეგატები და სტუმრები ტაშით შეხვდნენ ამბასადორებს **ა. ა. გრომიკოს, ვ. ი. ვოროტნიკოვს, ლ. ნ. ზაიკოვს, ი. კ. ლიგაჩოვს, ნ. ი. რიჟკოვს, ნ. ნ.სლიუნკოვს, ბ. ნ. სოლომენცევს, ვ. ბ. ჩებრიკოვს, პ. ნ. დემიჩევს, ვ. ი. დოლგიხს, ბ. ნ. ელცინს, ნ. ვ. ტალზინს, ა. თ. დობრინინს, ა. ი. ლუკიანოვს, ვ. პ. რაზუმოვსკის, ი. ვ. კაპიტონოვს.**

პრეზიდიუმში არიან აგრეთვე საბჭოთა ხელოვნების თვალსაჩინო მოღვაწეები, პარტიული, საბჭოთა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების შრომითი კოლექტივების წარმომადგენლები. აქ არიან სოციალისტური ქვეყნების მხატვართა კავშირების ხელმძღვანელები.

სსრ კავშირის მხატვართა კავშირის გამგეობის საანგარიშო მოხსენება გააკეთა მისმა თავმჯდომარემ **ნ. ა. პოზმარიო

ეროვნული ბიბლიოთეკა

კამათი საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს მიერ გარდაქმნის ხელმძღვანელობისათვის გაწეული მუშაობის ანგარიშის გამო

ჯ. ი. პატიაშვილი

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი

გულახდილად გეტყვით: პირველი სიტყვა იმიტომ ვითხოვე, რომ ჩემს მოვალეობად მიმაჩნია სწორედ ჩემით დავიწყო გულახდილი და წრფელი სჯა-ბაასი ყველა იმ პრობლემაზე, რომლებიც გვაწუხებს.

ჩვენი დღევანდელი მსჯელობა დაინტერესებული უნდა იყოს და, დარწმუნებული ვარ, სწორედ ასეთი იქნება იმიტომ, რომ ყველას, ვინც დღეს შეიკრიბა ამ დარბაზში აინტერესებს, არ შეიძლება არ აინტერესებდეს, არ შეიძლება არ აღელვებდეს, თუ როგორ მიმდინარეობს ჩვენში გარდაქმნა, რა ბბრკოლებს მის მიმართობას და რა უნდა ვიღონოთ იმისათვის, რომ ამ პროცესს აჩქარება მივანიჭოთ.

და მაინც მინდა დღევანდელი საერთის დაწყებისას გავიხსენო ცენტრალური კომიტეტის წევრთა და წევრობის კანდიდატთა, სარეგიონო კომისიის წევრთა შეხვედრა იმ ჯგუფში, რომლის მუშაობაში მეც ვმონაწილეობდი, ჩვენ გვქონდა უაღრესად გულწრფელი, საქმიანი და გულახდილი საუბარი.

ჩვენ შევხვდით ამხანაგებსაც, რომლებიც ახალოგიური ჯგუფების მუშაობაში მონაწილეობდნენ, და ყველამ ერთსულოვნად თქვა, რომ მუშაობა სასარგებლო და ნაყოფიერი გამოდგა. ამის შესახებ ილაპარაკა ბ. ვ. ნიკოლაევმაც, როცა დღევანდელი სხდომა გახსნა. ვ. ა. კონდრატიევმა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის სექტორის გამგემ, გაგვიზიარა თავისი შთაბეჭდილებები. იგი სავსებით დაგვთანხმა, რომ ეს იყო სასარგებლო შეხვედრები, სასარგებლო საუბრები, ვინაიდან ასეთი ფორმა მოწმობს, რომ ვეძებთ რესპუბლიკის პარტიული ორგანოზეობის ცხოვრების შემდგომი დემოკრატიზაციის რეალურ გზებს, გარდაქმნის ამოცანების პრაქტიკულ საქმეთა კალაპოტით წარმართვის გზებს. ეს შეხვედრები უდავოდ შეიწყობს ხელს პლენუმზე ცენტრალური კომიტეტის ბიუროს მიერ გარდაქმნის ხელმძღვანელობისათვის გაწეული მუშაობის ანგარიშის განხილვას. ვფიქრობ, მუშაობის ასეთი ფორმა უფრო ფართოდ უნდა დაფენილიყოს და გავაჯანსაღოთ.

არ შემიძლია არ აღვნიშნო კიდევ ერთი გარემოება. ჩვენი შეხვედრის დროს იყო ერთგვარი ცდა ხელმძღვანელობისათვის აერიდებინათ კრიტიკა. ის კი არა, ერთი პირობა, გვისაყვედურეს კიდეც, ბიუროს აპარატში მეტისმეტად თვითკრიტიკული გამოვდგებო. ალბათ, ამას ვერ დავეთანხმებით. ამიტომ, ნება მიბოძეთ, ერთხელ კიდევ დავუბრუნდე ამ საკითხს, ვინაიდან სწორ, ობიექტურ კრიტიკას არა აქვს და ვერც ექნება საზღვარი. როცა კაცს გულარხეინობა, თვითკმაყოფილება ეუფლება, რაც ზშირად გადაეზრდება ხოლმე თვითტკბობად, იგი უკვე ვეღარ იქნება ხელმძღვანელი. სამწუხაროდ, ასეთი ხელმძღვანელები ჯერ კიდევ გვყავს.

ჩვენ არავის არ მოვუწოდებთ მხოლოდ კრიტიკის იმედად იყოს. მაგრამ ყველას უნდა ესმოდეს, რომ კრიტიკა და თვითკრიტიკა ჩვენი ნინსვლა-განვითარების ერთი-ერთი უმთავრესი და უმძლავრესი ამჩქარებელია. უკრიტიკოდ ვერ ვიცხოვრებთ და ვერ ვიმუშავებთ. ჩვენ ხომ ყველანი კომუნისტები ვართ — თანამოსაგრენი, პარტიელი ამხანაგები, ხოლო რახან ასეა, ჩვენ ამხანაგურად უნდა ვეხმარებოდეთ, მხარი ვუჭიროთ ერთმანეთს, ერთმანეთს პირში ვუთხრათ ხმოლოდ სიმართლე, კი არ მივჩქმალოთ და მივაფუნქციოთ ნაკლოვანებანი, არამედ გავაცხადოთ ისინი აშკარად და დაფიქრავად, და არ მოვისვენოთ, სანამ ამ ნაკლოვანებებს არ აღმოვფხვრით.

მე პირადად მგონია, რომ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს ჯერ კიდევ ბოლომდე ვერ დაუძლეია დამუხრუჭების მექანიზმი,ბოლომდე იმდაგვარად ვერ გაუცხობიერებია დემოკრატიის და საჯაროობის გაკეთილი, რომ ეფექტიანად გამოიყენოს. გარდაქმნის საშალებათა მთელი არსენალი მისი პროცესების გამიზნული ფორმაგებისათვის. ჩვენი მუშაობის სტილი ჯერ კიდევ სრულად არ შეესაბამება სადღეისო მოთხოვნებს. სწორედ ამის გამო აქტიური პარტიული გავლენის ფაფალებს გარეთ რჩება რესპუბლიკის ეკონომიკური და სოციალურ-პოლიტიკური ცხოვრების მთელი რიგი სფეროები, სახალხო მეურნეობის ბევრ დარგში არ არის დამყარებული ჯეროვანი წესრიგი, შეშფოთებას იწვევს ნეგატიური მოვლენების გავრცელების მასშტაბი, ვერ არის დიდად სახარბიელო ეკონომიკის განვითარების თვისებრივი და რაოდენობრივი მაჩვენებლები, გარდაქმნის ტემპის დამუხრუჭება იმის შედეგია, რომ ბიუროს ყოველთვის დროულად რიგი განსაზღვრავს მუშაობის უმნიშვნელოვანეს მიმართულებებს. ამიტომაც არის, რომ პარტიული კომიტეტები, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოები, კოლექტივები, ყველა მშრომელი, ჩვენი პარტიული, სახელმწიფო და სამეურნეო აპარატი არ იჩენენ საკმარის მეცადინეობას დგაროვილი პრობლემების გადასაჭრელად.

მთელი პასუხისმგებლობით ვიზარებ იმ კრიტიკას, რომელსაც პარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს ანგარიში შეიცავს ჩემი მისამართით. მასში სრულიად სამართლიანად არის მაპყრობილი ჩემი ყურადღება იმისადმი, რომ უწონარეს ყოველსა პირველი მდივანი აგებს პასუხს იმ მთელი რიგი საკითხების დროული და კომპეტენტური გადაწყვეტისათვის, რომლებიც გარდაქმნამ წამოაყენა წინა პლანზე, საქმის ინტერესების უზრველყოფის, პარტიის კურსის — რევოლუციური განახლების კურსის ენერგიული და განუხრელი განხორციელებისათვის. სწორედ პირველმა მდივანმა უნდა იკისროს სრული პასუხისმგებლობა იმისათვის, რომ ბიუროს, სამდივნოს, მუშაობაში ჯერ კიდევ არ არის სისტემურობა და გეგმაობა. ჩვენ მეტი თანამიმდევრულობა და მიზანსწრაფვა გვმართებს. და ამავე დროს, უნდა დაველითოთ ყოველგვარი საკითხის სწორედ პარტიულ ორგანოებში გადაწყვეტის ჩვეული. არცთუ იშვიათად სწორედ ამ დაქსაქსულობის გამო მხედველობიდან გვრჩება საკვანძო საკითხები, ვეღარ მოგვიცლია იმისათვის, რომ დაწყებული საქმე ბოლომდე მივიყვანოთ, ჯერჯერობით კი, სამწუხაროდ, ადგილებიდან მომავალი ინფორმაცია იერარქიული კიბის ბევრ საფეხურს გადის და, სანამ ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობამდე მოაღწევდეს, მრავალ კოსმეტიკურ ოპერაციას განიცდის. ჯერ კიდევ არ არის ლაკონდარებული ზოგიერთი ხელმძღვანელი ამხანაგის მისაღებში აღმართული ბიუროკრატიული ჯიბრები. კვლავინდებურად ჭირს მათთან მობვედრა მაშინაც კი, როდესაც საქმე საზოგადოებრივი მნიშვნელობის მქონე საკითხორატო პრობლემის გადაჭრას ეხება.

ამ მხრივ სერიოზულად უნდა გარდაქმნან ბიური, სამდივნო და ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი. უფრო ფართოდ უნდა გავუღოთ ჩვენი კაბინეტების კარი პარტიულ აქტივს, განსაკუთრებით, პარტიის საქალაქო და რაიონული კომიტეტების პირველ მდივნებს, სხვა პარტიულ ხელმძღვანელებს.

ჩვენი პოლიტიკურ-ორგანიზაციური და იდეოლოგიური საქმიანობის ეფექტიანობის შეფასების ერთადერთი კრიტერიუმი უნდა იყოს კონკრეტული საბოლოო შედეგი. გადაჭრილი ვთქვათ უარი განსაზღვნელ მითითებებზე, მთელიანად და ზოგადად ხელმძღვანელობაზე. ჩვენს არსებულში შეიიტანოთ კონკრეტული პროცესებს კონკრეტული მართვა. ამასთან ვიღვაწოთ შედეგების მისაღწევად კონკრეტულ უბანზე.

ამ მხრივ ბევრის გაკეთება შეუძლია ცენტრალური კომიტეტის ბიუროსა და სამდივნოს, აპარატის თითეულ წევრს. პირადად მე, მაგალითად, მმართველს უფრო ინტერესებს ბავშვების მიმართ, მათს უზრუნველყოფას საოჯახოდ დაწყებულებებით, ჯეროვანი სამედიცინო დამხმარით, ნორმალური ფიზიკური და ზნეობრივი აღზრდის პირობების შექმნით. ანდა, რატომ არ უნდა შეეკიდოს სპანიარ პრობლემის გადაჭრას, პრაქტიკულად გაუწიოს ორგანიზაცია და შეათანხმოს ძალისხმევა მის გადაწყვეტასთან დაკავშირებული ყველა ორგანიზაციისა; მით უმეტეს, რომ ეს საკითხი გასულ წელს განიხილა რესპუბლიკის უმაღლესი სხბჭის სესიამ.

მმდინარეობს გარდაქმნა. და ყოველი ღონისძიება, რომელიც საამისოდ არის გამიზნული, უზრუნველყოფილი უნდა იყოს ორგანიზაციულად და იდეოლოგიურად, ზუსტად განვმარტოს თითოეულ მსმენელს. აი, მაგალითად, უკვე თთქმის ორი კვირაა, რაც ჩვენი გაერთიანება სრულ სამეურნეო ანგარიშზეა, მაგრამ, ჩვენ, მუშები, მაინცდამაინც ვერ ვერკვევით ახალი სამეურნეო მექანიზმის ასავალ-დასავალში, არ არის გადაწყვეტილი შიდასაჭარხნო სამეურნეო ანგარიშის საკითხები უბანზე, ბრიგადაში. ჯერჯერობით კოლექტივის ყოველმა წევრმა ვერ შეიგნო, რომ მუშაკია, საწარმოთა, ხალხოო ანგარიშთან კი რესპუბლიკისა და მთელი ქვეყნის კეთილდღეობა დამოკიდებულია თითოეული ადამიანის წვლილზე, მის კეთილსინდისიერ და ნამუსიან გარჯაზე. ამ ნაკლოვანებებში მეც მამიძღვის ბრალი, გეგრარალურ დირექტორსაც, ცენტრალური კომიტეტის წევრობის კანდიდატს ზ. დ. ჩიკვიძესაც.

ჩვენს კოლექტივს აშკარად აკლია ყურადღება პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის, მისი პირველი მდივნის ვ. ი. ალავიძის მხრივ.

მაგრამ, თუ გავითვალისწინებთ, რომ ამგვარი მდგომარეობა დამახასიათებელია ბევრი კოლექტივისათვის, არ შეიძლება არ აღინიშნოს რესპუბლიკის იდეოლოგიური კადრების სუსტი ახსნა-გამარტებითი მუშაობა. კარგი იქნება, ამბ. ბ. ნ. ენუქიძე უფრო ენერგიულად გარდაქმნიდეს როგორც ეკონომიკურ, ისე პოლიტკურ სწავლებას, ვინაიდან ჯერჯერობით ეს სწავლება ნაკლებად უწყობს ხელს იმის, რომ ყოველი ადამიანი, განსაკუთრებით კი ხელმძღვანელი, საქმიანად, კომპეტენტურად ერკვეოდეს გარდაქმნის საკითხებში კონკრეტულ უბნებზე, შრომითს კოლექტივებში, არა მარტო ერკვეოდეს, არამედ გამოდიოდეს კიდეც სასარგებლო საქმის ორგანიზატორად.

ყოველი ჩვენგანის ვალია გამოიტანოს საქმრო დასკვნები დღევანდელი საქმისა, ბრნეკიპელი და კეთილშობილური სჯა-ბაასიდან. აქტიურად იმოქმედოს მინდობილ უბნებზე და მაქსიმალურად შეიტყოს ხელი დასახული ამოცანების ბის გადაწყვეტას.

ბ. ს. ჯიჭია

პარტიის ზუგდიდის რაიკომის პირველი მდივანი

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში გაფართოებული ბიუროებისა და პლენუმების მოწყობის ისეთი პრაქტიკა დამკვიდრდა ბოლო დროს, რომ ყველას ეძლევა საკუთარი აზრის თავისუფლად გამოთქმის საშუალება, და ეი, მეც, რაიკომის პირველ მდივნად ყოფნის მეთორმეტე წლისთავზე, «პირველად ვდგავარ პლენუმის ტრიბუნაზე. ალბათ, ეს გამომსცელლთა წინასწარ შედგენილ ნახაზს და ჩემს პასიურობასაც უნდა დავაბრალო. ამჟერად არავის არ გვეფერთხილებიან, სიტყვით უნდა გამოხვიდეო, მაგრამ ვეფზადებოდი და სულ იმას ვფიქრობდი, შემიძლია თუ არა გულახდილად, დაუფარავად ვთქვა საკმელი, თანაც ცენტრალური კომიტეტის ბიუროს საქმიანობის შესახებ. ხომ ცხადია, საშუხარიდ, ზემდგომი ორგანოს მეფობის კრიტიკულ შეფასებაში ჯერ კიდევ არის მორიდების, თუ გნებავთ, შიშის ბარიერიც.

ამ ბარიერის დაძლევას ვფიქრობ ახლა, მას შემდეგ, რაც ცენტრალური კომიტეტის ბიუროს ანგარიშს ეკვეანნი. ის ამის საშუალებას იძლევა. ამიტომ საკმელს, როგორც მე მწამს და შემიძლია, ისე მოგახსენებთ.

უსამართლობა იქნებოდა, არ დაგვინახა მინდობილ უბნებზე საქმის მდგომარეობის გამო ხელმძღვანელი კადრებისადმი მკაცრი მომთხოვნელობა, ნეგატიური მოვლენებისადმი უაღრესად პრინციპული ამეამდე ახასიათებს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს საქმიანობა. იგი, ჩემი აზრით, საესებით შეესაბამება გარდაქმნის მოთხოვნებს. ასეთი კურსი კვლავაც უნდა გაგრძელდეს, რადგან ყოველნაირი საშუალებებით გამდიდრების დახარბებულნი, უშრომელი შემოსავლით ცხოვრებას მიჩვეულნი, კერძომესაკუთრული ფსიქოლოგიით დაავადებულნი იოლად არ თმობენ პოზიციებს. ამას მოწმობს რესპუბლიკაში გამოვლენილი დანაშაულის ბოლოდროინდელი ფაქტები, რომელშიც ჩაბალანსებულად და იდეოლოგიურად, ზუსტად განვმარტოს თითოეულ მსმენელს. აი, მაგალითად, უკვე თთქმის ორი კვირაა, რაც ჩვენი გაერთიანება სრულ სამეურნეო ანგარიშზეა, მაგრამ, ჩვენ, მუშები, მაინცდამაინც ვერ ვერკვევით ახალი სამეურნეო მექანიზმის ასავალ-დასავალში, არ არის გადაწყვეტილი შიდასაჭარხნო სამეურნეო ანგარიშის საკითხები უბანზე, ბრიგადაში. ჯერჯერობით კოლექტივის ყოველმა წევრმა ვერ შეიგნო, რომ მუშაკია, საწარმოთა, ხალხოო ანგარიშთან კი რესპუბლიკისა და მთელი ქვეყნის კეთილდღეობა დამოკიდებულია თითოეული ადამიანის წვლილზე, მის კეთილსინდისიერ და ნამუსიან გარჯაზე. ამ ნაკლოვანებებში ბრალი ამ ბრალი, ბატონ ენუქიძეს, ბ. ბ. ნიკოლაევსაც, ბ. ბ. ენუქიძეს უფრო ენერგიულად გარდაქმნიდეს როგორც ეკონომიკურ, ისე პოლიტიკურ სწავლებას, ბ. ბ. ენუქიძეს ეს ენერგიულად ეკეთებინა, ეს ენერგია ბ. ბ. ენუქიძეს, ბ. ბ. ენუქიძეს, ბ. ბ. ენუქიძეს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

კამათი საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს მიერ გარდაქმნის ხელმძღვანელობისათვის გაწეული მუშაობის ანგარიშის გამო

დღევანდელი პლენუმი — ეს არის მკაცრი მომკითხველობა ცენტრალური კომიტეტის ბიუროსადმი, მისი თითოეული წევრისადმი გარდაქმნის ხელმძღვანელობის დონისა და ეფექტიანობისათვის.

როგორც ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრი და პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი, მთელი პასუხისმგებლობით ვიღებ ანგარიშში გამოთქმულ სამართლიან კრიტიკას. ეს მთელი პრინციპულობით ითქვა რამდენიმე დღის წინათ გაბარათული პარტიის საქალაქო კომიტეტის პლენუმზეც, რომელსაც ანალოგიური დღის წესრიგი ჰქონდა.

პლენუმზე გამეფებულმა მწვავე კრიტიკისა და თვითკრიტიკის, ბიუროს და მისი თითოეული წევრის და პირადად ჩემ მიმართ პრინციპული შეფასების სულისკვეთებამ საშუალება მომეცა თითქოს უცხო თვალით შემეხედა საკუთარი თავისათვის, ჩვენი მუშაობისათვის, გამომეტანა ერთმნიშვნელოვანი დასკვნა იმის შესახებ, რომ უნდა გაუმჯობესდეს საქალაქო კომიტეტის ბიუროს მუშაობის სტილი, გაიზარდოს მისი დონე გარდაქმნის თანამედროვე მოთხოვნებამდე.

პრაქტიკულად გახორციელებთ, რა პლენუმის გადაწყვეტილებებს, პირადად მე და საქალაქო კომიტეტის ბიუროში მომეშვა ჩემი ერთ-ერთი ვალდებულება ვართ ეუჩვენთო კრიტიკისადმი სწორი პარტიული დამოკიდებულების მაგალითი; გულახდილობისა და ურთიერთპატიცემული მომთხოვნელობის ატმოსფეროში გადადგეთოთ ყოველდღიური მუშაობის უცილობელ ნორმად.

კარგად გვესმის, რომ გარდაქმნის შედეგები უმთავრესად დამოკიდებულია იმაზე, როგორ განხორციელდება პრაქტიკულად კარგი ინკონ ეკონომიკური რეფორმა, რა ეფექტანობით ამოქმედდება კანონი სახელმწიფო საწარო (გაერთიანების) შესახებ.

ამიტომ ცენტრალური კომიტეტის შეფასება, რომ საქალაქო პარტიული ორგანიზაციას ჯერ კიდევ ვერ მიეღწევია გარდაქმნის მოწინავეს მოჯნებისათვის, არ გამხდარა ეტალონური სხვა პარტიული ორგანიზაციებისათვის, არა მარტო სვანეთი შეეხებიან სინამდვილეს, არამედ, შემიძლია დავძინო, რომ მთელი რიგი მმართველებები ჯერ ვერ შეეძენთ მოგვიღია საშუალო დონეზე კი.

ამის დადასტურება არა მარტო ჩამორჩენილი ორგანიზაციები, არამედ არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობაც სახალხო მეურნეობის მთელ რიგ დარგებში. კერძოდ, მშენებლობასა და ვაჭრობაში, სადაც არათუ ჩაფუშული სახელმწიფო გეგმების შესრულება, არამედ სულ უფრო მეტად იგერძნობა მთელი რიგი წლების მანძილზე დამკვიდრებული წმაბატები, თვალსაჩვენა, დატაცებები, სხვა ნეგატიური მოვლენები, რომლებიც კადრებს მოეკი. როგორც ანგარიშში აღნიშნული, ამ საკითხთა გადაწყვეტაში უნდა გამოვიჩინოთ მეტი შემტეეითობა და სიმტკიცე.

შეგნებული მაქვს რა სრული პასუხისმგებლობა საქმის მდგომარეობისათვის, უნდა ეთქვა, არა მგონია, შესაძლებელი იყოს ცენტრალური კომიტეტის იმ მოთხოვნის შესრულება, რომ საქალაქო პარტორგანიზაციები ეტალონენ პარტორგანიზაციებად გადაიქცნენ, თუ ცენტრალური კომიტეტის, მისი განყოფილებების შესაბამისი მხარდაჭერა და დახმარება არ იქნა, თუ ძალისმცვა არ გაიერთიანეს დაინტერესებულმა რესპუბლიკურმა და საკავშირო ორგანოებმა.

ვ. ი. ალავიძე

საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი

ამასთან დაკავშირებით მინდა ვთქვა, რომ სისტემატურად ვმუშაობდით ქალაქის ჩამორჩენილი ორგანიზაციების გარდვეევიან გამოყვანის პრობლემებზე, რომელთა შორის არიან ჩვენი მრეწველობის ისეთი ფლაგმანები, როგორიცაა საწამოო გაერთიანებანი „ელმავალმშენებელი“ და „ჩარხშენებელი“.

მათი პრობლემები დაგვიყენებია ყველა დონეზე, მათ შორის საკავშირო ორგანიზაციების დონეზეც. მაგრამ ობიექტური მიზეზები, რომლებიც ხელს უშლის შრომითს კოლექტივებს სახელმწიფოს წინაშე თავისი მოგალეობის შესრულებაში, ღღეცდე არ ყოფილა ფრენა. ამ პირობებში, როცა ვერ შეეძელით პასუხი გაგვეცა მათ მიერ დასმულ კითხვებზე, ძნელია კოლექტივს მოჰკითხო. ამასთან დაკავშირებით სავსებით ვიზიარებ ამხ. გ. ა. მეტოხინის კრიტიკას ჩემდამი და ვეცდები გამოვეტანო დასკვნები.

ანალოგიური რამ შეგვიძლია ვთქვათ ქალაქ თბილისის შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილების შესრულების გამო.

კომუნალური და საქალაქო სამსახურების მიმართ თბილისელთა მიერ გამოთქმული კრიტიკული შენიშვნები, ზემდგომ ორგანოებში დაყენებული მრავალი საკითხი ინსპირაციიდან ინსპირაციაში გადადის, მაგრამ საქმე ადგილიდან არ დაძრულა.

ამხანაგები, როცა მათ მიგმართავთ, იმიზეზებენ, რომ არა აქვთ საშუალებანი შეცვლილ პირობებთან დაკავშირებით, ასახელებენ ობიექტურ მიზეზებს. ამ მიზეზების გაუთვალისწინებლად კი ჩვენ ნამდვილ მომთხოვნელობა იზრდება. ამ საქმეში, რა თქმა უნდა, უპირველესად, ჩვენ და პირადად მე, უფრო პრინციპულად და მწვავედ უნდა დაგვეყენებინა საკითხები. მაგრამ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს გადაწყვეტილებათა ფარგლებში ეტალონენ ორგანიზაციების შესაქმნელად, ეს, უწინარეს ყოვლისა, ეხებოდა აგრარიზწყვის, ეკაკაშრის, ვაჭრობისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროებისა, სხვა უწყებების სისტემის ორგანიზაციებს.

ზოგიერთი რამ, რა თქმა უნდა, შეიცვალა, მაგრამ მთლიანად საქმის ვითარებას ჯერ კიდევ ვერ მივიჩნევთ დამაკმაყოფილებლად.

ამიტომ ვთხოვთ ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრებს გ. ა. ანჩაბაძეს, ნ. ა. ჯიფანავას, გ. დ. მგელაძეს გაუწიონ დედაქალაქს ზემოდან დამეხმარება და არ გადადონ ეს საქმე, ჩვენთან ერთად ხელი მოაკიდონ ქალაქში სანიმუშო, მისაბაძი ორგანიზაციის შექმნას.

ადამიანებს სწამთ გარდაქმნისა, მოთმინებით ელიან მათს ცხოვრებასთან დაკავშირებულ ყველა დარგში საქმის გაუმჯობესებას. ჩვენც ვალდებული ვართ მეტი ვიზრუნოთ მათი საარსებო ინტერესებისათვის, ამოვუდგეთ მხარში, უფრო ობერატიული რეგირება მოვახდინოთ მათს საჭიროებებსა და მოთხოვნილებებზე.

ამასთან დაკავშირებით პარტიის საქალაქო კომიტეტის პლენუმზე კრიტიკისა და თვითკრიტიკის განვითარების თემის განხილვისას გამოითქვა აზრი, რომ კრიტიკის საუკეთესო საშუალებაა დროულად შენიშნული დაღვნილი ფრა და კეთილი სიტყვით მხარდაჭერილი წამოწყება, ამის შემდეგ განდა უკეთ, უფრო მონდომებით იმუშაო. საკმარისი იყო საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის VII პლენუმზე აღნიშნულიყო, რა თქმა უნდა, ავანსად, რომ დედაქალაქის პარტორგანიზაცია აქტიურად ეძებს მუშაობის ახალ ფორმებსა და მეთოდებს, კვლავ დგება გარდაქმნის მოწინავე რიგებში, რომ ჩვენს მუშაობას ახალი იმპულსი მისცემოდა.

საფუძვლიანად მოვკიდეთ ხელი სამრეწველო წარმოების ტემპის დაჩქარებას. ამის შედეგად ხუთწლეულის ორ წელიწადში მან შეადგინა 12 პროცენტი გეგმით გათვალისწინებული 8 პროცენტის ნაცვლად. რესპუბლიკაში გამოშვებული 122 მილიონი მანეთის სახალხო მოხმარების ზეგეგმითი საქონლიდან დაახლოებით 85 მილიონი მანეთისა დედაქალაქის წილად მოდის.

დიდი ენთუზიაზმით მოვკიდეთ ხელი აგრეთვე გადაუხდელი თანხების შემცირების საკითხებს, რომლებმაც ქალაქში ასმილიონნობით მანეთის მიიღწია.

შევიმუშავეთ დამატებითი ღონისძიებანი, მოვამზადეთ წინადადებანი ამ პროცესის რეგიონული მართვის ავტომატიზებული სისტემის შექმნის შესახებ, რომელსაც საშუალება უნდა მოეცეს მარტო შარშან გადაუხდელი თანხები შეგემცირებინა 150 მილიონი მანეთით. და ეს რაიმე განსაკუთრებული კაპიტალდაბანდებების გამოუყენებლად.

ეს წინადადებანი თითქმის ერთი წელია გადადის ცენტრალური კომიტეტიდან მინისტრთა საბჭოში, მინისტრთა საბჭოდან სახელმწიფო საგეგმო კომიტეტში და ა. შ., მაგრამ ვერ და ვერ ვეღირსეთ საბოლოო პასუხს.

ჩვენი აზრით, ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრმა, საკრთველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარემ ე. გ. ვარძელაშვილმა, რომელიც სათავეში უდგას ეკონომიკური ექსპერიმენტების კომისიას, უფრო ოპერატიულად უნდა განხილოს ეს საკითხები.

ამას ეფიქრობ იმიტომაც ვამბობ, რომ, რა თქმა უნდა, გაოცებას იწვევს, როცა ანონიმური წერილის გამოც კი იქმნება კომისია, ზორცეულდება ღონისძიებანი, მაშინ, როდესაც არჩევითი ორგანოს წევრთა მიერ დაყენებულ საკითხებზე ზოგჯერ ჯერთვან რეაგირებას არ ახდენენ.

ეს კი იმიტომ ხდება, რომ ღღეცდე არ მომზდარა ანარქისა და არჩევითი ორგანოს ურთიერთობაში გარდაქმნა. პარტიული კომიტეტების, მათ შორის ცენტრალური კომიტეტის ანარქეტებში, ჯერ კიდევ ბევრი დრო ხმარდება ქაღალდებს. ხოლო თითეული ზემოდან დამშვებული ქაღალდი წამრმობს ქაღალდების კორიანტელს, მრავალგზის ხდება მათი ფუძლირება ქვემდგომ პარტიულ კომიტეტებში. თითოეული თათბირი წარმოშობს ახალ თათბირს. მოკლედ რომ ვთქვათ, ანარქეი ანარტანსთვის მუშობს. ცენტრალური კომიტეტის შენობაში მჯდომ ზოგიერთ მოუშავეს მიაჩნია, რომ სწორედ ისინი არიან ცენტრალური კომიტეტი. მათს საქმიანობაში ვლინდება უპირატესად მბრძანებლურ-სამეთვალყურეო ტალი. კონტროლი ხშირად ხორციელდება ნაუცბადევად, რევიზიის მეთოდით, გულუხვად არიგებენ მწვავე შეფასებებს, ქვემდგომ ორგანიზაციებში მისელის დროს დადებითი მომენტების ძიება კი პრაქტიკულად არ ხდება.

როგორც წესი, მათს მუშაობას აფასებენ როგორც არასაკმარისს, ზოგჯერ კი არადამაკმაყოფილებლადაც, თანაც ასეთი შეფასების დასაბუთებისათვის მუშაკები უფრო მეტად ეძებენ ნეგატიურ ფაქტებს.

ვფიქრობ, რომ ცენტრალური კომიტეტის აპარატის მუშაობის სტილის განახლების საკითხები კვლავაც უნდა იყოს ცენტრალური კომიტეტის სამდივნოს, ამხ. ბ. ბ. ნიკოლაკის ყურადღების ცენტრში, რამეულ კურატორობს ორგანიზაციულ-პარტიული მუშაობის განყოფილებას, აგრეთვე საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ნ. ი. პატიაშვილის ყურადღების ცენტრში.

ამასთან დაკავშირებით, როგორც ჩანს, აქვს აზრი იმის, რომ XIX საკავშირო პარტიულ კონფერენციაზე განსახილველად შეგიტანოთ ქალაქის კომუნისტთა წინადადება არჩევითი ორგანოს წევრთა სტატუსის განსაზღვრის შესახებ, აგრეთვე დებულებანი პარტიული კომიტეტების წევრთა და კანდიდატთა შემდგენლობიდან პარტიულთა მუშაობის ცალკეული მიმართულებებით კომისიების შექმნის შესახებ და შესაბამისი ცვლილებანი და დამატებანი შეგიტანოთ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის წესდებაში. ეს საშუალებას მოგვცემს გავაფართოოთ დამოუკიდებლობა, თავიდან ავიცილოთ პარტიული კომიტეტების, არჩევითი და საშუალო ორგანოების მუშაობის ზედმეტი რეგლამენტაცია, გავზარდოთ მათი წევრების პასუხისმგებლობა საქმის ზედმიერ მოლინაზე, ისე მუშაობის ცალკეულ უბნებზე.

დედაქალაქის პარტორგანიზაცია, ისევე როგორც რესპუბლიკის მოელი პარტიული ორგანიზაცია, დგას გრანდიოზული ამოცანების წინაშე, რომლებიც დასახულია ეკონომიკური და კულტურული შენებლობის გარდაქმნის მიერე ეტაპზე.

ბოლოს აღვუთქვამ საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს, რომ ქალაქ თბილისის კომუნისტები, ყველა შრომელი ძალ-ღონეს არ დაიშურებენ მათი ფარგლებებით გადაწყვეტისათვის, კონკრეტული მიღწევებით შეხვედებიან XIX საკავშირო პარტიულ კონფერენციას.

ბ. ვ. ადლეიბა

საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი

კლენუმის განსახილველად წარმოდგენილმა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს ანგარიშმა გარდაქმნის ხელმძღვანელობისათვის მუშაობის შესახებ, რომელშიც ყოველმხრივ არის გაშუქებული ჩვენი რესპუბლიკის ცხოვრებაში მიმდინარე რთული პროცესების ასპექტები, საშუალება მოგვცა არა მარტო დირსეულად შეგვეფასებინა ჩემ მიერ წამოყენებული პრობლემები, ამავე დროს ხაზი გავუსვა, რომ, როგორც საქართველოს სსრ კავშირის ეროვნული ეკონომიკის ერთ-ერთ მთავარი ამოცანა. ამიტომ, როცა ვაჩიკენი მუშაობას პარტიის საოლქო კომიტეტის ანგარიშის ბიუროს მიერ წონათ დაგვგმარეს ეს მიკროორგანიზები, ეს ერთ-ერთ ადგილად ჩვენ ეს ანარეკლი ეს ანარეკლი ეს ანარეკლი

უკსიქოთში საკვლევი იუწყება
20 იანვარი

პოზიტიური დიალოგი

ე. ა. შევარდნაძის ოფიციალური ვიზიტი გრძელდება

ბონი. *სკკ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა ედუარდ შევარდნაძემ გამართა პრესკონფერენცია გერმანიის ფედერაციულ რესუბლიკაში თავისი ოფიციალური ვიზიტის შედეგების გამო.* მან განაცხადა, რომ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ფედერალურ კანცლერს ჰელმუტ კოლს გადასცეს სკკ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის მიხეილ გორბაჩოვის პირადი წერილი, რომელშიც განხილულია როგორც საბჭოთა კავშირ-დასავლეთ გერმანიის ურთიერთობის ძალზე მნიშვნელოვანი საკითხები, ისე მსოფლიო დონის პრობლემებიც. ე. ა. შევარდნაძემ კანცლერთან თავისი საუბრის შედეგებს საქმიანი პოზიტიური უწოდა. ჩვენ, თქვა შემდეგ სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა, გვქონდა ადრეთვე ძალზე შინაარსიანი მოლაპარაკება ფედერალური კანცლერის მოადგილესთან, ფედერალურ მინისტრთან ჰანს-დიტრიხ გენშერთან. საბჭოთა კავშირ-დასავლეთ გერმანიის დიალოგი, აღნიშნა მან, გაიმართა მთლიანად საერთაშორისო ვითარების გარდატეხ მომენტში. იმაში, რომ ეს გარდატეხა დაისახა, არის გერმანიის ფედერაციული რესუბლიკის მთავრობის წვლილიც.

◆ სსრ კავშირი-აშშ

ხელი მოაწერეს ოქმს

პრინსტონი (ნიუ-ჯერსის შტატი). *აქ, პრინსტონის უნივერსიტეტში სამშაბათს საღამოს ხელი მოაწერეს სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა საკითხების და ამერიკის შემეცნებითი საზოგადოებების საბჭოს სსრ კავშირ-ამერიკის კომისიის მეშვიდე სხდომის ოქმს.* საბჭოთა კავშირის მხრივ დოკუმენტს ხელი მოაწერა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა, ამერიკის შეერთებული შტატებისა და კანადის ინსტიტუტის დირექტორმა გ. არბატოვმა, ამერიკის მხრივ — ამერიკის შემეცნებითი საზოგადოებების საბჭოთა პრეზიდენტმა სტენლი კეტელმა.

პროგრამა ითვალისწინებს ორი ქვეყნის თანამშრომლობის შემდგომ განვითარებას სოციოლოგიის, პოლიტიკისა და კულტურის სფეროში ერთობლივი კვლევის განსაზღვრაცეულებლად. დასახული აგრეთვე აღნიშნულ სფეროებში სტრატეგიული კვლევისა და ანალიზის ორგანიზაცია.

ხელმოწერის ცერემონიას ესწრებოდა სსრ კავშირის ელჩი ამერიკის შეერთებულ შტატებში ი. დუბინინი.

ამერიკა არჩევნების წინ

იწყება ბრძოლა ხმებისათვის

ნიუ-იორკი. *ამერიკის შეერთებული შტატების ვიცე-პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა და ყოფილმა სენატორმა გერი ჰარტმა გაიმარჯვეს ამერიკის სამხრეთ შტატებში მოწყობილი საზოგადოებრივი აზრის მორიგი გამოკითხვის შედეგების მიხედვით.* გამოკვლევამ, რომელიც მოაწყო გაზეთ ინსტიტუტმა გაზეთ „ბოსტონ გლობის“ და ორი ადგილობრივი რადიოსადგურის შეკვეთით სამხრეთის 13 შტატში, ცხადყო, რომ ბუში ორჯერ და უფრო მეტად უსწრებს თავის მთავარ მეტოქეს სენატორ რობერტ დოლს. ვიცე-პრეზიდენტს ჰხარი დოუჰარა სამხრეთულ ამომრჩეველთა 54-მა პროცენტმა, ხოლო დოლს— 25-მა პროცენტმა. მომავალ არჩევნებში პრეზიდენტის პოსტზე რესუბლიკელი პარტიისაგან კანდიდატობის დანარჩენი ოთხი „პრეტენდენტიდან“ ვერც ერთმა ვერ მოაგროვა 7 პროცენტზე მეტი ხმა.

გუნებგა და სტიქია

შტორმი კალიფორნიაში

სან-ფრანცისკო. *მეტეოროლოგიური დაკვირვებების ისტორიაში უსანტკენი სტიქიური უბედურება დაატყდა თავს ამერიკის უდიდეს შტატს — კალიფორნიას. წყნარი ოკეანის სანაპიროზე მძვინვარე უძლიერესი შტორმის გიგანტურმა ტალღებმა სერიოზულად დააზიანა კურორტების რეფლორდი-ბიჩისა და მალიბუ-ბიჩის კეთილმოწყობილი პლაჟები.* ოკეანემ წალეკა მრავალი საცხოვრებელი ნაგებობა, რესტორნები, სასტუმროები. გარე სამყაროს მოწყვეტილი აღმოჩნდნენ სანაგვრად დატბორილი დასახლებული პუნქტები. ეროვნული გვარდიის ქვეგანაყოფებმა ხალხი ვერტმფრინავებით გახიზნეს უბედურების რაიონებიდან. სტიქიის შედეგად უკვე დაიღუპა 7 კაცი. ზარალი ათმილიონობით დოლარს შეადგენს.

ინგლისი

ბრალი დასდეს მთავრობას

ლონდონი. *დუშმანთა ბანდები სულ უფრო მეტი ოდენობით იღებენ პაკისტანიდან ბრიტანეთის „ხლოუ პაიპის“ საზენიტო რაკეტებს, განაცხადა აქ სამშაბათს ბრიტანეთის პარლამენტის თემთა პალატის წევრმა რონ ბრაუნმა, რომელიც ეს-ეს არის დაბრუნდა ავღანეთიდან.*

რ. ბრაუნმა ბრალად დასდო კონსერვატორთა მთავრობას, რომ იგი თვალს არიდებს იმ ფაქტს, რომ ეს თანამედროვე იარაღი ეძლევათ ბანდიტებს, ისინი კი მათი სამფალთებით აგდებენ შვიდობიან სამოვალაქო თვითმფრინავებს.

ჩეხოსლოვაკია

ერთი დღე

პრაღა. *„ერთი დღე უსიამოვნოდ“ წარმატებით გაიმართა ჩეხოსლოვაკიის რაიონულ ცენტრ ვრანოვ-ნად-ტოპლოიში საქალაქო ეროვნული კომიტეტის ინიციატივით,* ადგილობრივმა ხელისუფლებამ მოუწოდეს თამბაქოს მწეველებს ერთი დღე-ღამის განმავლობაში „მოიკოტი გამოეცადინათ“ თამბაქოს მაღაზიისა და კიოსკებისათვის, გაეძლოთ უნიკოტინოდ. ეს აქცია გახდა ჩეხოსლოვაკიის სოციალისტურ რესუბლიკაში მიმდინარე წელს დაწყებული თამბაქოს წეგასთან ბრძოლის საერთო-ეროვნული კამპანიის ერთ-ერთი პირველი ღონისძიება. ჩეხეთ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრომ, რომელიც ახალი მოძრაობის ინიციატორია, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს, საზოგადოებრივი და მასობრივი ორგანიზაციების დახმარებით გაშალა მეტეოვითი ოპერაცია საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში თამბაქოს წევის წინააღმდეგ ქვეყანაში უკვე მიღებული „ნიკოტინის საწინააღმდეგო“ ღონისძიებების ზუსტი დაცვისათვის.

ამერიკელ ლიტერატურებს

პენტაგონი სპარსეთის ყურეში

ნიუ-იორკი. *პენტაგონმა პრაქტიკულად დაამთავრა სპარსეთის ყურის რაიონში თავისი ბაზების ქსელის მშენებლობა, რომლებიც მას სჭირდება იმ შემთხვევისათვის, თუ იქ დაიწყება დიდი მასშტაბის საბრძოლო მოქმედება.*

ეუწყება რა ამას, გაზეთი „ქრისჩენ საიენს მონიტორი“ აღნიშნავს, რომ ზოგიერთ ბაზას უკვე იყენებენ ამერიკის სამხედრო-საზღვაო ძალები თვითმფრინავთა გაფრენისათვის. წაიწყდა რა არაბულ სახელმწიფოთა წინააღმდეგობას, რომლებსაც არ სურთ თავიანთი ტერიტორია დაუთმონ ამერიკელებს. სამხედრო ობიექტების ასაგებად, ვაშინგტონმა შესთავაზა მათ, რომ თავისი ხარჯით განახორციელებს ამ ქვეყნების მოდერნიზაციას პენტაგონის მიერ მათი გამოყენების სანაცვლოდ. ბაზების შესახებ შეთანხმებას პირველმა ხელი მოაწერა ომანმა, შედეგ ამერიკის შეერთებული შტატებისათვის ხელმისაწვდომი გახდა ენინის და სომალის ნავსადგურები და